შეთანხმება № 27658-1

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ა(ა)იპ საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირს შორის 2022 წლის 11 ივლისს გაფორმებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ №27658 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 2 ივლისი 2024 წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი (ს/ნ: 201950068) (შემდგომ - კავშირი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი შავერზაშვილის სახით და მეორე მხრივ, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ს/ნ: 205438622) (შემდგომ - სამინისტრო), წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული განვითარებისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ბოცვაძის მიერ, რომელიც მოქმედებს ,,საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურული განვითარების დეპარტამენტის უფროსის, გიორგი ბოცვაძისთვის უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის 2024 წლის 15 თებერვლის №00005246 ბრძანების საფუძველზე, ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“ (ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“), „ა(ა)იპ - საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის №641 განკარგულებისა და მხარეთა შორის 2022 წლის 11 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ №27658 ხელშეკრულების (შემდგომ - ხელშეკრულება) მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.3. და 1.4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.3. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2029 წლის 11 ივლისის ჩათვლით.

1.4. ამ მუხლის 1.3. პუნქტში მითითებული, სარგებლობაში გადაცემის ვადა, სამინისტროს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გაგრძელდეს „ა(ა)იპ - საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის №641 განკარგულების შესაბამისად.“.

2. კავშირი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს წინამდებარე შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისათვის შესაბამისი ქმედებები და გასწიოს მასთან დაკავშირებული ხარჯები.
3. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან (რომელიც მითითებულია ამ შეთანხმების პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში) და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა ხელმოწერები:

ა(ა)იპ საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირი
(ს/ნ: 201950068)
მის.: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი,
დავით აღმაშენებლის გამზ., №123

თავმჯდომარე

გიორგი შავერზაშვილი

/ /

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
(ს/ნ: 205438622)
მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4

ინფრასტრუქტურული განვითარებისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ბოცვაძე

/ /